სსრ კავშირის თასზე

6 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1987-88 წლების საფეხბურთო თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრები. შეჯიბრებაში ჩაებნენ უმაღლესი ლიგის კოლექტივებიც.

საქართველოს გუნდებიდან თასის ამ ეტაპზე იბრძვიან თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის ”გურია”, და სოხუმის „დინამო“. განვლილ ტურში უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა მიიღო მეტოქეები.

თბილისის „დინამოს“ არ გასჭირვებია თვისი მეტოქის - იაროსლავლის ”შინიკის” დამარცხება. უკვე მატჩის დასაწყისშივე, მე-3 წუთზე, ”შინიკის” მცველებმა უყურადღებოთ ითამაშეს თავიანთი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, ამით კარგად ისარგებლა კაკილაშვილმა იოლად გავიდა წინ და ზუსტადაც დაარტყა კარში - 1:0. გავიდა ხუთი წუთი და სტუმრებს კვლავ ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება: კორღალიძე-კაკილაშვილის კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო შენგელიამ, შორიდან დაარტყა კარში, ვოლნუხინი მზად არ აღმოჩნდა და მეორე ბურთი გაუშვა.

კიდევ რამდენიმე წუთიც და ანგარიში გახდა 1:2. ამჯერად კოლესნიკოვმა გამოიყენა თავისი შანსი. მან საკმაოდ შორი მანძილიდან გაქვითა ერთი გოლი.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. დინამოელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს და მთელი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ წარმართეს. ჯერ კორღალიძემ თავით გაიტანა მესამე ბურთი, შემდეგ კი მანვე მე-60-ე წუთზე საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს - 4:1.

თბილისის „დინამოს“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა (ქეცბაია), ჭედია, ფირცხალავა, კორღალიძე (ფანცულაია), სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (გოგრიჭიანი 75), გურული, შენგელია.

ლელო 8.07.1987